საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/188 "17" დეკემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე რ. კახიძის ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მივლინების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 2021 წლის 13 ოქტომბრის №1/172 განკარგულებით ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე გურამ გოცირიძე, რომელიც აღნიშნულ სასამართლოში უფლებამოსილების განმახორციელებელი ერთადერთი მოსამართლე იყო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის დანიშვნამდე მიზანშეწონილად ჩაითვალა უფლებამოსილების განსახორციელებლად მოსამართლის მივლინება.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოსთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სასამართლოს წარმოადგენს ცაგერის რაიონული სასამართლო, სადაც უფლებამოსილებას ერთი მოსამართლე ახორციელებს და მისი მივლინება შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელებას ცაგერის რაიონულ სასამართლოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების წინადადებით მიემართათ სხვა სასამართლოს, კერძოდ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს და მიღებულ იქნა მოსამართლე როინ კახიძის თანხმობა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე როინ კახიძე მივლინებულ იქნეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2021 წლის 23 დეკემბრიდან 2022 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი